№31.
21.01.2011

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო "21" იანვარი 2011 წ.

ერთის მხრივ *ბორჯომის მუნიციპალიტეტი, (მისამართი ქ.ბორჯომი რუსთაველის მ. №1) საკრებულოს თავმჯდომარის ბესიკ ქურდაძის სახით* (შემდგომში „შემსყიდველი")
და მეორეს მხრივ *ინდ. მეწარმე პლატონ ტაბატაძე,* (მისამართი ქ.ბორჯომი, რუსთაველის ქ. №119) (შემდგომში „მიმწოდებელი")

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტის დასახელება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სამსახურებისათვის საკანცელარიო ნივთების და საოფისე ტექნიკის შესყიდვა

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება შეადგენს *1000 (ერთი ათასი) ლარი* (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1 მომწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს სხვადასხვა სახის საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერის სათადარიგო ნაწილები და კარტრიჯები პერიოდულად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 4 თებერვლამდე.

3.2 მომწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი შეუფერხებლად.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება მოხდება ერთიანად სასაქონლო ზედნადებისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.2 შესყივის ობიექტის ან მისი ნაწილის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ადგილი

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარისწორების ფორმით.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

6. ანგარიშსწორების ვალუტა

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა

"შემსყიდველი" _____ "მიმწოდებელი" _____

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე ააგებენ პასუხს აქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 შემსრილებელი უფლებამოსილია, საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკოსროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხების მთავარი სპეციალისტი;

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულებს შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14 სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვაროონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. გამოყენებული სამართალი

"შემსყიდველი" "მიმწოდებელი"

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 10 თებერვლამდე.

ყოველივე ზემოხსენებულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მოთითებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო ორი –შემსყიდველს.

"შემსყიდველი" *–ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1. ს.ს. "თი-ბი-სი ბანკი"-ს ს/ჯ რეგ. ფილიალი ანგ.№ GE25TB010583303010000 1 ბ/კ TBCBGE22; საიდენტიფიკაციო კოდი 226161961;*

/ ბ.ქურდაძე /

"მიმწოდებელი" –ინდ. *მეწარმე "პლატონ ტაბატაძე", ბორჯომი რუათაველის ქ. 119 ს/კოდი 11001001415, ს.ს "თი ბი სი ბანკი"-ს ს/ჯ რეგ. ფილიალი ანგ.№ GE59TB010583303010000 1 TBCBGE22;*

/პ. ტაბატაძე/

"შემსყიდველი"

"მიმწოდებელი"

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional